დიდება უძლეველ საბჭოთა არმიას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 45 (14041) | პარასკევი, 23 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენი დიადი ქვეყანა დღესასწაულობს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავს.

მხურვალე სალამი

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებს, არმიისა და ფლოტის ვეტერანებს!

„საბჭოთა მეომარი — გამარჯვებული".
სკულპტორი ე. ვუჩეტიჩი.

საშობლოს საიმედო გუშაგი

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

50 წელია მტკიცედ დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ძალები. მძიმე განსაცდელთა ჭარ-ცეცხლში, ქვეყნად ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებულ ბრძოლაში წარმოიშვნენ და იწრთობდნენ ისინი.

თავისი ისტორიული მისიის ამაყი შეგნებით იბრძოდა და იმარჯვებდა საბჭოთის არმია. ჩვენს მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ სამშობლოს ბევრჯერ მოუხვიეს თავს ომები მისმა მტრებმა და თვითონვე ბევრჯერ იგემეს საპასუხო დარტყმის გამანადგურებელი ძალა.

საბჭოთა ხალხს მსურვალედ უყვარს საშობლოს ერთგული მებრძოლი დამცველები, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს.

საქართველოს მშრომელებმა, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, ფართოდ აღნიშნეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. რესპუბლიკაში სახელოვანი იუბილეს დღესასწაულის ცენტრალური მოვლენა იყო საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებისა და თბილისის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა.

22 თებერვალი. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. სადღესასწაულოდ მორთული სცენაზე მოჩანს ვ. ი. ლენინის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ჩვენი შეიარაღებული ძალების ორგანიზატორის პორტრეტი. სცენაზე ოქროსფრად ბრწყინავს ციფრი „50".

დარბაზთან საპატიო ყარაულში გარინდულან თბილისის გარნიზონის მეომრები — საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, ა. ტ. სტუჩინკო, რ. ი. ფრუნიძე, ბ. ი. ჩიბოშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჰანუშვილი, ბ. დ. ჯაფარიძე, ვ. ი. ბუჭავა, ა. ნ. ინაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე. ი. მ. სტარჩენკო, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, წარმომბის ნოვატორები, ძველი ბოლშევიკები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა.

დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება — „50 წელი დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე" — გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, არმიის გენერალმა ა. ტ. სტუჩენკომ.

დიდების შარავანდედითა მოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირული ნახევარსაუკუნოვანი გზა, — თქვა მომხსენებელმა, ჩვენმა ხალხმა სიყვარულით უწოდა მათ საშობლოს მძლავრი, საიმედო ფარი. ეს მარილაც ასეა. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მთელი სახელოვანი ისტორია უეჭველობად მოწმობს: ვინც გაბედავს და მახვილს აღმართავს მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს, დიდი ოქტომბრის მონაპოვართა წინააღმდეგ, იგი უთუოდ დაიღუპება საბჭოთა მეომრის შემმუსვრავი მახვილით.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებთან ერთიან მწყობრში, ხაზი გაუსვა სტუჩენკომ, ჩვენი საშობლოს სახელმწიფო ინტერესების, ხალხთა მშვიდობის და უშიშროების სადარაჯოზე დგანან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარები. ოლქის პირად შემადგენლობას შეგნებული აქვს საშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობა და ბეჯითად სრულყოფს ოსტატობასა და საბრძოლო მზადყოფნას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავს ოლქის ნაწილებს უმრავლესობა შეხვდა კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სავსებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი.

საშობლოსადმი, ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, კომუნისტური პარტიისა და მისი მებრძოლი შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები მუდამ მზად არიან დაიცვან საშობლო, მთლიანად გაანადგურონ ყოველი აგრესორი, ვინც გაბედავს ხელყოს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიანი შრომა.

სიტყვა ეძლეოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ვ. პ. მჟავანაძე გულითადად მიესალმა და მიულოცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, ოფიცრებსა და გენერლებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავი.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შემდეგ, თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, ციფრი „50" კვლავ უცვლელად მოჩანს ჩვენი კალენდრის ფურცლებზე და გამოხატავს იმ ღირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენათა ნახევარ საუკუნეს, რომლებსაც დასაბამი მისცა ოქტომბრის რევოლუციამ. დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის — დიდი ოქტომბრის პირშოს, ჩვენი ხალხის ნიამაყისა და დიდების 50 წლისთავს.

პარტიამ და ლენინმა შექმნეს, აღზარდეს და გამოაწრთეს მუშურ-გლეხური წითელი არმია, რევოლუციის არმია, საბჭოთა რესპუბლიკის ბურჯი.

სამოქალაქო ომის ჭარ-ცეცხლში, იმპერიალიზმისა და თეთრგვარდიელთა გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ გაატარებულ ბრძოლებში შობილმა ჩვენმა არმიამ დაიცვა მსოფლიოში პირველი მშრომელთა სამშობლო და თავისი საბრძოლო დროშები გამოატარა საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ისტორიაში.

გაუძლეს რა უმკაცრეს გამოცდებს, შეიარაღებულმა ძალებმა შეუპოვარ ბრძოლებში შემუსრეს პროგრესისა და ცივილიზაციის უბოროტესი მტრის — გერმანიის ფაშიზმის არმია, დაიცვეს სოციალისტური სამშობლო, დიდი ოქტომბრის მონაპოვრები. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს მილიტარისტული იაპონიაც.

საბჭოთა კავშირის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა არმია ამ ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო გამოწრთობილი და განმტკიცებული.

ამჟამად საბჭოთა კავშირს, რომელიც თანამიმდევრულად იცავს მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას, უაღრესად მაღალ დონეზე აქვს თავისი თავდაცვისუნარიანობა.

დღეს აღვნიშნავთ რა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავს, თქვა ამხ. მჟავანაძემ, საბჭოთა ხალხი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როგორც ყოველთვის, იქნებიან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, დაიცავენ კომუნიზმის მშენებელი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებს სახელოვანი ნახევარი საუკუნის იუბილე მიულოცეს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატმა ბ. შ. ჩაფუნელმა, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგემ, პროფესორმა საბჭოთა კავშირის გმირმა ი. ნ. ციციშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. ა. ფაქარიაძემ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაგუნიამ.

საზეიმო კრება დასრულდა ცხადდება. სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 21 1968 წლის 23 თებერვალი ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

დღეს ჩვენი ხალხი მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავს.

საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლის ცეცხლში ლენინის მიერ შექმნილმა სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად გამოატარეს თავიანთი საბრძოლო დროშები სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის განსაცდელში. იმპერიალისტ აგრესორთა ურდოებთან გაფთრებულ ბრძოლებში მათ დაიცვეს ოქტომბრის დიადი საქმე, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ევროპისა და აზიის ბევრი ხალხის განთავისუფლებაში ფაშისტური და იმპერიალისტური დამონებისაგან, ღირსეულად გაამართლეს თავიანთი ისტორიული დანიშნულება.

ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ფიზიკურად დგანან ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშვიდობისა და შაშშრომების სადარაჯოზე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა ხალხის გმირული შრომის მეოხებით მათი ძლიერება განუწმენდლად გაიზარდა. საბჭოთა კავშირის უდიდესმა მიღწევებმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში ხაშუალება მოგვცა აღგვეკურნა არმია და ფლოტი ყველაზე თანამედროვე იარაღითა და უახლესი ტექნიკით, რომლებიც საშშობლოს ერთგული შვილების — მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებებისა და მხედრული ოსტატობის მქონე საბჭოთა მეომრების საიმედო ხელშია.

მტკიცედ ახორციელებენ რა ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კიდევ უფრო აამაღლონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვიხუნარიანობა. არმიისა და ფლოტის უძლეველი საბრძოლო ძლიერება ომისათვის არის შექმნილი, რომ საიმედოდ ვიცავდეთ დიდი ოქტომბრის საქმეს, უზრუნველვყოფდეთ საბჭოთა კავშირის უშიშროებას იმპერიალისტ აგრესორთა ხელყოფისაგან. საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მომზე სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა, საერთაშორისო უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის სადარაჯოზე.

რთულ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში არმიისა და ფლოტის მეომრებს ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის. კომუნისტური პარტიისა და ხალხის უსაზღვროდ ერთგულნი, ისინი ფიზიკურად ადეკვატებენ თვალს იმპერიალისტთა ხრიკებს, დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ მხედრულ ოსტატობას, იმალლებენ პოლიტიკურ ცოდნას და მზად არიან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველ აგრესორს, თუ იგი გაბედავს ხელყოს ჩვენი საშშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრები.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ვეტერანებო! მოგესალმებით და ბედნიერად ვთვლი საყოველთაო-ხალხური დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავს.

შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას ვუსურვებ ახალ მიღწევებს საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლაში, ვუსურვებ მუდამ მზად იყონ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ქვეყნის დასაცავად.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავის აღსანიშნავად ბრძანებს:

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესასა და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში მიცემულ იქნას სალუტი ორმოცდაათი საარტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულიხჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის

მარშალი ა. გრეჩკო

ოქტომბრის რევოლუციის ორდენი — წითელდროშოვან კრეისერ „ავრორას"

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციისა და მის მონაპოვართა დაცვაში კრეისერ „ავრორას" სამხედრო მეზღვაურთა დიდი დამსახურებისათვის, რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წითელდროშოვანი კრეისერი „ავრორა" დაჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ

ალექსანდრე დუბჩეკს

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ

ანტონინ ნოვოტნის

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ

იოზეფ ლენარტს

კრალა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ და მომზე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს ღირსშესანიშნავ თარიღს — რეაქციის ძალებზე ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა ისტორიული გამარჯვების 20 წლისთავს.

1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა თავიანთი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ბურჟუაზიულ რეაქციას, რომელიც ცდილობდა დაემხო სახალხო-დემოკრატიული წყობილება. თებერვლის გამარჯვებამ, დაამკვიდრა მუშათა და გლეხთა სრული ხელისუფლება, გზა გაუკვალა ძირეულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს ჩეხოსლოვაკიაში და განსაზღვრა სოციალისტური გზით მისი განვითარება. ეს გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ტრიუმფი იყო, პარტიისა, რომელიც შემოქმედებითად იყენებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას თავისი ქვეყნის პირობებში.

განვლილი 20 წლის მანძილზე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ხალხმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით დიდი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ახლა ჩეხოსლოვაკიელი ხალხი წარმატებით ახორციელებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობამ დასახა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სოციალისტური ქვეყნების დიადი ოჯახის აქტიური წევრია, მას ღირსეული წვლილი შეაქვს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ხალხებს აერთიანებს დროით შემოწმებული ურღვევი ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები. საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებს მომზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიღწევები და უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის განვითარებაში. საბჭოთა ხალხი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ორივე ქვეყნის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საკეთილდღეოდ, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

ლ. ბრეჟნევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ნ. პოდგორნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ა. კოსიგინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

საზეიმო სხდომა პრაღაში

პრაღა, 22 თებერვალი. (საქდესის კორ.). ჩეხოსლოვაკიელი ხალხი ზეიმობს რეაქციულ ძალებზე მშრომელთა ისტორიული გამარჯვების 20 წლისთავს, გამარჯვებისა, რომელმაც ქვეყანას გაუხსნა სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზა.

დღეს პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის საზეიმო სხდომა.

თეთრ ფოხზე მოჩანს ვ. ი. ლენინისა და კ. გოტვალდის პორტრეტები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წითელ-თეთრ-ლურჯი სახელმწიფო დროშა და კომუნისტური პარტიის წითელი დროშა. წითელი ასოებით წარწერილია გოტვალდის მოწოდება მსვლებისადმი: „წინ, არც ერთი ნაბიჯი უკან!".

დარბაზში არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრები, 1948 წლის თებერვლის ღირსშესანიშნავი ამბების მონაწილენი, რევოლუციური და მუშათა მოძრაობის ვეტერანები, შრომის გმირები, თვალსაჩინო სახლოგანო მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები.

დამსწრენი მჭეხარე ტაშით ხვდებიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. დუბჩეკსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სხვა მომზე პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელებს. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. კადარს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. გომულკას, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჩაუშესკუს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ვ. ვლახოვიჩს.

დარბაზში ძღერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

საზეიმო სხდომა გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ი. დოლანსკიმ. იგი მიესალმა დარბაზში მყოფ მომზე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს. მისალმების პირველი სიტყვები მიმართული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ. ისინი ერთხმად გაიძახიან: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ყოველთა ერთგულ პარტიას!".

ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა თებერვლის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა. (ამხ. ა. დუბჩეკის მოხსენება იხილეთ ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე. **რედ.**).

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც მხურვალედ მიესალმება მთელი დარბაზი. (ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა იხილეთ ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე. **რედ.**).

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ვ. გომულკამ, ვ. ულბრიხტმა, ი. კადარმა, ნ. ჩაუშესკუმ, ტ. ჟივკოვმა და ვ. ვლახოვიჩმა.

თავმჯდომარე დახურულად აცხადებს მშრომელთა თებერვლის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას.

სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და ერთსულოვნად ასრულებენ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

დარგაზოგა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვეთით ხანმოკლე მეგობრული ვიზიტით იყო ფინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის გენერალური მდივანი ვილე პესი, პარტიის თავმჯდომარე კარნე საარინენი და ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ანა-ლიისა პიუვინენი.

21 თებერვალს დელეგაცია მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

საუბრის დროს, რომელმაც გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მდგომარეობის, ფინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ფინელმა ამხანაგებმა ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მიიწვიეს ფინეთში მომდინარე წლის ზაფხულში. ეს მიწვევა მადლობით იქნა მიღებული.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

21 თებერვალს ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ესპანეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და ესპანეთის კომპარტიის თავმჯდომარე დ. დოლორეს ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ს. კარილიო, ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ი. გალეგო.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 22 თებერვლის დადგენილებით საიუბილეო მედლით „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წელი" დაჯილდოვება გაავრცელა ყოფილ წითელგვარდიელებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის საბრძოლო მოქმედებაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მიეხიჭათ სსრ კავშირის ორდენები ან მედლები „მამაცობისათვის", „უშაოვის, „საბრძოლო დამსახურებისათვის", „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის", „ნახიმოვის, „შრომითი მამაცობისათვის", „შრომითი წარჩინებისათვის".

მედლების გადაცემა წარმოებს დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ ამ პირების სამსახურს წითელი გვარდიის რაზმებში ან მონაწილეობას საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის საბრძოლო მოქმედებაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში, ან ორდენის წიგნაკის, მედლის მფლობელობა საფუძველზე.

პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

21 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გადაეცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განუცხადოს შემდეგი.

მიმდინარე წლის 21 თებერვალს სსრ კავშირის საელჩოს შენობას ვაშინგტონში ესროლეს ბომბი. ძლიერი აფეთქების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა საელჩოს შენობა, და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოხდა დილადრიან, სამუშაოს დაწყებამდე, საელჩოს თანამშრომლებიდან არავინ არ დაზარალებულა.

ეს დანაშაულებრივი აქტი საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ ამერიკის ხელისუფალნი უგულებელყოფენ სსრ კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელშეუხებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ელემენტარულ მოვალეობას.

სულ ცოტა ხნის წინათ 15 თებერვალს, სამინისტრომ ამერიკის მხარის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საგარეო ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისმა ხელისუფლებმა საცავების საფუძველზე განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს და მისი თანამშრომლების უსაფრთხოებისა და შუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ ამერიკის მხარე თავს არიდებს თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობის დავალებით სამინისტრო მტკიცე პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს წინააღმდეგ ალნიშნული დანაშაულებრივი აქტის გამო, მოითხოვს მკაცრად დასაჯონ დანაშაულენი და დაუყოვნებლივ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საელჩოსა და მისი თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად".

ამხანაგ ა. დუბჩეკის მოხსენება

1948 წლის თებერვალი, ხაზგასმით აღნიშნა თავისი მოხსენების დასაწყისში ა. დუბჩეკმა, ჩვენი თანამედროვე სოციალისტური წყობილების წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ნიშანსვეტია, ნიშანსვეტია იმ გზაზე, რომელსაც დავადექით ეროვნული და ანტიფაშისტური ბრძოლის პერიოდში, განსაკუთრებით რომ გაიშალა 1944-1945 წლებში, და რომელიც უკავშირდება პარტიის მეთ. წინა სქემიანობას.

გამანადგურებელი ომის ქარცეცხლმა მოსპო წარსულის მრავალი ფასეულობა. ჩვენი რესპუბლიკა მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ მართლაც მთლიანად აღორძინდა და გარდაიქმნა, გამოსახა თავისი არსებობის ახალი, უფრო მტკიცე საფუძვლები. სიმტკიცე მოიპოვა ურღვევი კავშირითა და მეგობრობით საბჭოთა კავშირთან, რომლის არმიამ გაათავისუფლა ჩეხოსლოვაკია, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან კავშირითა და მეგობრობით, სხვა სახელმწიფოებთან, უწინარეს ყოვლისა ევრობის სახელმწიფოებთან თანამშრომლობით.

მან თავის ეროვნულ სტრუქტურას საფუძვლად დაუდო ახალი თანასწორუფლებიანი ურთიერთობა, ორი მომე ხალხისა, რომელთა საუკეთესო და ყველაზე პროგრესულმა ძალებმა წამოაყენეს ეროვნული და სოციალური თვალსაზრისით სამართლიანი სახელმწიფოს შექმნის პროგრამა.

ჩვენ, თქვა შემდეგ ა. დუბჩეკმა, ყველას ჯერ კიდევ ცხადად გვახსოვს ის ამბები, რომლებმაც სინამდვილეში განსაზღვრეს თებერვლის წარმატება, — 1947 წლის შემოდგომა სოლოკიაში, პარტიანთა ყრილობა, საქარხნო საბჭოების ყრილობები ბრატისლავასა და პრაღაში, საყოველთაო გაფიცვა, სახალხო მილიციის რაზმების მზადყოფნა, მიტინგები სტარომესტისა და ვაცლავის მოედნებზე, გლეხთა კომისიების ყრილობები, იმ დღეების დაუვიწყარი ატმოსფერო. ჩვენმა პარტიამ მაშინ გაუძღო სახელმწიფოებრივი სიმწიფის ნამდვილ გამოცდას, კონფლიქტის ლეგალური, კონსტიტუციური გზით, ხალხის მასების აქტიური მონაწილეობით გადავრისადმი მისწრაფება ცხადყოფდა, რომ იმ მომენტშიც პარტია ასრულებდა 1944-1945 წლების რევოლუციის ანდერძს. ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა აზროვნებასა და წარმოდგენაში 1948 წლის თებერვალი იყო არა უარყოფა ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის იდეალებისა, არამედ, მათი გაღრმავება, განმტკიცება და განვითარება სოციალიზმის სულისკვეთებით.

ამ თვალსაზრისით ჩეხოსლოვაკიის 1944-45 წლების რევოლუცია — მთელი ჩვენი გზა თებერვლისაკენ და თვით თებერვალი მნიშვნელოვანი გამოცდილებაა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თანამედროვე იდეური განვითარებისთვისაც, და ამ თვალსაზრისით იგი პოლიტიკური და იდეური შთაგონების წყაროდ რჩება ჩვენი ახლანდელი მეცადინეობისთვისაც.

პარტიის ხელმძღვანელი როლი, კომუნისტებისა და მთელი საზოგადოების ნამდვილი დემოკრატიული ურთიერთობა, ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების სპონტანური ენთუზიაზმი და დაუვიწყარი აქტივობა — ასეთია იმ დროის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი საარსებო მნიშვნელობა და აქტუალობა.

როცა ვაჯამებთ 1948 წლის თებერვლის შემდეგ განვლილი 20 წლის შედეგებს, შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ხალხების ისტორიას შეემატა თვისებრივად ახალი თავი, რომელიც თავისი ხანგრძლივობით უდრის ჩეხი და სლოვაკი ბურჟუაზიის ბატონობის 20 წელს, განაცხადა ორატორმა. მაგრამ მუშათა კლასის ხელისუფლების მე-20 წლისთავზე რესპუბლიკის არსებობის საფუძვლებს, მიუხედავ პერიოდის ბურჟუაზიული რესპუბლიკისაგან განსხვავებისა, აბსოლუტურად არაფერი არ ემუქრება.

ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, თითქოს არ გვქონდეს რაიმე საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემა, მაგრამ დღეს ჩვენი რესპუბლიკა საიმედოდ გარანტირებულია ყოველნაირი შეიარაღებისაგან და ამ გარანტიას გვაძლევს მტკიცე კავშირი სსრ კავშირთან, გარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან და ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა მსოფლიოს მიმართ.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, თითქოს არ გვქონდეს რაიმე პრობლემა ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, მაგრამ არც სოციალური, არც ეროვნული თვალსაზრისით ლაპარაკი კი არ შეიძლება რაიმე ანტაგონისტურ კრიზისზე, როგორიც ჩვენმა რესპუბლიკამ განიცადა ბურჟუაზიის ბატონობის 20 წლისთავის დამლევს.

რაც უნდა თავმდაბალი ვიყოთ და საღად ვმსჯელობდეთ, დღეს შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ: ბევრი რამ, რაზეც ვოცნებობდით 20 წლის წინათ, რაც ჩვენი სურვილისა და მისწრაფების საგანი იყო, რაც ჩვენმა პარტიამ თავადვ მიზნად დაისახა 1948 წლის თებერვალში, რეალობა გახდა. მუშათა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის დიდი ამოცანები შეასრულეთ. საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტური ხასიათი.

მთელ ეკონომიკას შეეუქმენით ახალი, სოციალისტური საფუძველი. უზრუნველვყავით სამრეწველო სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი გაფართოება, სოფლად შეექმენით მსხვილი კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობანი. მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენი კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის დონე.

მოვსპეთ სიღატაკისა და გაჭირვების ვრცელი რაიონები. მთელი ჩვენი მოსახლეობა — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, მეამაკაცები და ქალები — დღეს სოციალური გულდაჯერებულობის პირობებში ცხოვრობს. გარდაიქმნა ჩვენი საზოგადოების მთელი სახე. ძირეულად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების ეროვნული ურთიერთობა და მთელი სოციალური სტრუქტურა. ახალი ურთიერთობა დამყარდა ქალაქსა და სოფელს შორის. ჩვენი მუშათა კლასი ამჟამად სავსებით სხვა კლასია, ვიდრე იმ პერიოდში იყო, როცა ბოლო მოვუღეთ კაპიტალიზმს. სოციალურად დიფერენცირებული სოფელ ნაცვლად ახლა გვყავს ახალი კოოპერაციული გლეხობა, რომლის საღი დამოკიდებულებაც პარტიის თანამედროვე ღონისძიებებისადმი ცხადყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ამასწინანდელმა ყრილობამ. გაიზარდა ახალი, ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული სოციალისტური ინტელიგენცია, გაკრნენ ექსპლოატატორული და პარაზიტული კლასები.

ჩვენი ოცი წლის გზის შედეგები შეიძლება გვაკმაყოფილებდეს, მაგრამ ამას ვერ დავჯერდებით.

ჩვენი მომავლის გეგმები და პერსპექტივები განუყოფლად დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩეხოსლოვაკია სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობაში შედის. განვლილმა წლებმა დაადასტურა რი დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირთან მეგობრობასა და კავშირს რესპუბლიკის მთელი ცხოვრებისათვის, მისი უშიშროებისა და სოციალისტური განვითარების უზრუნველყოფისათვის. ამიტომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი კვლავ ის არის, რომ განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთიანობა და ძმური თანამშრომლობა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ საოგებლობის, პატივისცემისა და მტკიცე ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპების საფუძველზე. ჩვენი მეგობრობა და კავშირი წარმოიშვა როგორც ნამდვილი სახალხო საქმე და როგორც ნამდვილი სახალხო საქმე დამკვიდრდა თებერვალში. ამრიგად, ჩვენი ურთიერთობა საბჭთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან არ არის მხოლოდ მთავრობის აქტი, იგი, ისე როგორც ძმური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა კომუნისტურ პარტიებთან, ჩვენი პარტიული პოლიტიკის ფუძემდებელი პრინციპი რჩება. ჩვენი ამხანაგური, ძმური ურთიერთობის გარანტიაა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეური და პოლიტიკური ერთიანობა ძირეულ საკითხებში. და ჩემმა ამასწინანდელმა შეხვედრამ თქვენთან, ამხანაგო ბრეჟნევ, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან მოსკოვში კვლავ დაადასტურა ეს ფაქტები. გთხოვთ, ამხანაგო ბრეჟნევ, გადასცეთ საბჭოთა ხალხს ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის მეგობრობის გულწრფელი გრძნობები. ჩვენ ვიცით, რომ დღეს მოსკოვს მიფრინავთ საბჭოთა არმიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. გთხოვთ, ჩვენი სალამი გადასცეთ ჩვენს განმათავისუფლებელ საბჭოთა არმიას. თანამშრომლობის ჩვენი ხაზი სავსებით შეესაბამება ჩვენი პარტიის ინტერნაციონალურ ტრადიციებს, რომელიც იყო და იქნება ღრმად გამსჭვალული ამ სულისკვეთებით. ჩვენს პარტიას ინტერნაციონალიზმის ღრმა ფესვები აქვს. და დღეს ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს იდეური და პოლიტიკური პრინციპი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძალის, ცხოველმოქმედებისა და ერთიანობის წყაროა.

ჩვენი პოლიტიკა, განაგრძო ორატორმა, შემდეგშიც უნდა ისახავდეს მიზნად მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების განმტკიცებას და მშვიდობიანი განვითარების პირობების უზრუნველყოფას.

ჩვენი ინტერესების ბუნებრივი სფეროა ევროპა, რომლის ცენტრშიც ვიმყოფებით. აქ განსაკუთრებით უნდა ვლინდებოდეს აქტიური როლი ჩვენი საგარეო პოლიტიკისა, რომლის მიზანი ის არის, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ურთიერთობის ნორმალიზაცია, განამტკიცონ თანამშრომლობა, მიუხედავად ამ სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილებისა, შექმნან კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის საფუძვლები. ამ მხრივ უპირველესი მნიშვნელობა აქვს მოვლენათა შემდგომ განვითარებას გერმანიაში, რომელთანაც ჩვენს ხალხს წარსულში მაინცდამაინც კარგი დამოკიდებულება როდი ჰქონდათ. შეიძლება ითქვას — ევრობის არც ერთი სახელმწიფო არ არის უშიალოდ უფრო დაინტერესებული, ვიდრე ჩეხოსლოვაკია, რომ გერმანიის ტერიტორიიდან არასოდეს აღარ წარმოიშვას ომის საფრთხე, რეალიისა და ფაშიზმის შეკარა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — გერმანიის ტერიტორიაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობა ჩვენ მიგვაჩნია გერმანიის პრობლემათა მშვიდობისმოყვარული და პროგრესული გადაჭრის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად, რომლის მეორე მხარეა თანმიმდევრული ბრძოლა იმ რევანშისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რასაც, სამწუხაროდ, მუდამ ადგილი აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩვენმა პარტიამ უნდა განვითაროს სულ უფრო აქტიური ღონისძიებანი კომუნისტური პარტიებისა და სხვა პროგრესული და ანტიიმპერიალისტური ძალების თანამშრომლობისა და მოქმედების ერთიანობის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად.

ჩვენ გვაწუხებს ის, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია სულ უფრო მეტად ცდილობს შეიტანოს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში შეხედულებანი და მეთოდები, რომლებიც ზიანს აყენებენ ამ მოძრაობას და, რაც მთავარია, არღვევენ მის ერთობას, ხაზგასმით აღინიშნა ორატორმა. ამიტომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირებს, რომლებიც ინტერნაციონალური, სავსებით თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სულისკვეთებით საქმიანად განიხილავდნენ ყველასათვის საინტერესო საკითხებს. ამიტომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე მომავალ შეხვედრას ბუდაპეშტში და სავსებით ვუჭერთ მხარს ამ შეხვედრას.

ჩეხოსლოვაკია, თქვა შემდეგ ა. დუბჩეკმა, სოციალისტურ მშენებლობას შეუდგა ჯერ კიდევ ეკონომიურად და კულტურულად განვითარებული ქვეყანა. ეს გვავალებს მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას ვუჩვენოთ სოციალიზმის შესაძლებლობანი სწორედ ასეთი ტიპის ქვეყანაში. იმისათვის, რომ გავუძლოთ შეჯიბრებას მსოფლიოში, რომელიც სწრაფად ვითარდება, უწინარეს ყოველისა, უნდა მივაღწიოთ ახალ წარმატებებს ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის აღმავლობაში.

ახლა ჩვენ უნდა შეექმნათ წინამძღვრები იმ ეკონომიური საკითხების თანამიმდევრული დამუშავებისათვის, რომელთა მიზანი იქნება არა მარტო ახლანდელი სოციალისტური, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სომბოლიკა ეტიმას ნიშანავს, რომ თანამიმდევრულად ვახორციელოთ ... ახალ სისტემას. ამასთანავე უნდა ვხედავდეთ მომავალ ... ...

თვალის ჩინი

ილიადანვე წვიმდა, შეტევა კი შეუპოვარი სიმძლავრით განხორციელდა. ჩვენმა მებრძოლებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს, უკუაგდეს მტერი და უკრაინის საზღვარს იქით, რუმინეთის ტერიტორიაზე გაიჩაღეს ბრძოლა... გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა ფაშისტური არმიის საუკეთესო ნაწილებს მდინარე სერეტთან და ქალაქ სერეტის მისადგომებთან...

არმიის სარდლობის ბრძანებით ჩვენი პოლკის პირად შემადგენლობას სამდღიანი შესვენება მიეცა...

— ეი რა ვიპოვნე, — მითხრა მეგობარმა და შინდის ფერი ყდიანი ბლოკნოტი გადმომცა, — გაუგებარ ენაზეა ნაწერი, არც გერმანულია, — კოსტიას გაედმა, — ნახე, იქნებ თქვენებურად არის დაწერილი.

გადავშალე ბლოკნოტი, და მართლაც, მშობლიურ ენაზე ნაწერი აღმოჩნდა.

თავფურცლის შუა ადგილას, მრგვალი მოხატული ასოებით ეწერა: „გაიოზ ილიას-ძე რუსიშვილი“.

ბლოკნოტს გულმოდგინედ ვფურცლავდი და უდიდესი ინტერესით ვკითხულობდი უცნობი თანამემამულის ფრონტულ დღიურებს. აი ზოგიერთი მათგანი.

დღიური პირველი.

„1941 წლის 5 სექტემბერი. ფრიცებმა გაშმაგებით შემოგვტიეს, ლენინგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქალაქ სტარაია რუსასთან და ალეაში მოგვამწყვდიეს. ტყვედ ჩაგვბარდითო, მაგრამ ვერ მივართვით. გავარღვიეთ მტრის რკალი და ისეთი დღე ვაყარეთ, რომ ვინც ცოცხალი დარჩა, ალბათ არასოდეს არ დავიწყდება. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის, საზეიმოდ გადმომცეს პირველი ჯილდო — მედალი „მამაცობისათვის“... პოლკის შეთაურის პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ არეფიევის თხოვნით — მე, კუკური გვერდწოლელმა, გიორგი რამიშვილმა, მიშა მაჭავარიანმა, კარლო კლარჯეიშვილმა და გიორგი დუგუზაშვილმა ვიმღერეთ „სულიკო“, „ციცინათელა“ და ავიყოლეთ ყველანი“...

დღიური ორმოცდამეშვიდე. „1943 წლის 6 ნოემბერი. უკვე მესამე თვეა 366-ე საარტილერიო პოლკის სამოცდათექვსმეტმილიმეტრიანი ქვემეხების პირველ ბატარეას ვმეთაურობ ლეიტენანტის ჩინით. საარტილერიო საქმე ავითვისე და შემიყვარდა კიდეც.

ამ დღიურს რომ ვწერდი, მივიღე დედაჩემისა და ჩემი დის მაუწერელას წერილი. მატყობინებენ, რომ ჩემი ძმების ალექსანდრესა და გოგის შესახებ კარგა ხანია არაფერი იციან. მეწყინა, მაგრამ რა მეღონა. ვრცელი წერილით ვუპასუხე დედას და ვანუგეშე, მალე გავიმარჯვებთ და სამივე ვაჟკაცი უვნებლივ დაგიბრუნდებით-თქო.

შეიძლება უადგილო და უხერხულიც იყო, მაგრამ დედაჩემს მაინც მივწერე: „დედიკო, ერთი შენი გადამალული კაკლის მურაბა მომპარინა და მაჭამა... ძლიერ მომენატრა შენი მოხარშული ლობიო, ნიგუზითა და ქინძით შენელებული, კომბოსტოსა და წიწაკის წნილიც...

მერე ვინანე, რატომ მივწერე, წაიკითხავს და ტირილით დაისიებს თვალებს-მეთქი.

...ქალაქ კიევის გარეუბანთანა ვართ დაბანაკებული საბრძოლო მზადყოფნაში. მგონი ალეონზე გადავალთ შეტევაზე“...

დღიური აქ არის შეწყვეტილი. შემდეგ გაგრძელება დათარიღებულია 8 ნოემბრით.

„კიევი გავათავისუფლეთ! მაგრამ გული მეკუმშება, როცა შევყურებ დანგრეულ და დაფერფლილ ქალაქს, ს

შალვა აფხაიძე

ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შალვა აფხაიძე. ჩვენგან წავიდა ქართული საბჭოთა პოეზიის უანგარო და ხელმოუღლელი მსახური, ქართული სიტყვის ოსტატი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი და კეთილშობილური მოღვაწეობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

შალვა აფხაიძე დაიბადა 1894 წლის 20 ივლისს ქუთაისის მაზრის სოფელ ძუყურეში (ოკრიბა). 1913 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შეიდა. აქ იგი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მდივანი იყო, მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რევოლუციურ გამოსვლებში.

შ. აფხაიძემ სტუდენტობის პირველ დღეებშივე დაიწყო სამწერლო მოღვაწეობა. მისი პირველი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა სტუდენტურ ჟურნალში 1914 წელს.

პეტერბურგში ყოფნის დროს შ. აფხაიძე გაიტაცა სიმბოლისტურმა პოეზიამ — ა. ბლოკის, კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ა. ბელის, ვ. ივანოვის და სხვათა შემოქმედებამ. ამიტომაც იყო, რომ 1917 წელს ქუთაისში დაბრუნებული უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა მიეძღვნო ქართველ სიმბოლისტებს — „ცისფერყანწელებს". სწორედ ამ ხანებში დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები ქუთაისის გაზეთ „შეგობარში". ამ გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ახალგაზრდა პოეტის კრიტიკული წერილები.

შ. აფხაიძე ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა „ცისფერყანწელთა" გამოცემებში, როგორიც იყო „შვიელდოსანი", „ფეიერნეი ნიამორები", „ბარიკადი", „რუბიკონი", „ბახტრიონი" და სხვ. პოეტმა საკმაო ხარკი გაუღო სიმბოლიზმს. „1924-25 წლებში ვიგრძენი შინაგანი კრიზისი. ძველი გზა მიუღებელი აღმოჩნდა. ახლის შესისხლხორცება გამეჭირდა... დაახლოებით ათი წელიწადი პოეზიას ჩამოშორებული ვიყავი", — წერდა პოეტი შედეგ ავტობიოგრაფიაში.

1934-35 წლებში ჩვენს პერიოდულ პრესაში კვლავ გამოჩნდა შალვა აფხაიძის ლექსები. ამჯერად იგი უკვე მკვიდრად და მტკიცედ დადგა სოციალისტური რეალიზმის გზაზე, ერთადერთ ჭეშმარიტ შემოქმედებით გზაზე, რომელშაც ფართო გასაქანი მისცა შ. აფხაიძის პოეტურ ნიჭსა და შესაძლებლობას.

თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი ერთგულად ემსახურა ჩვენს მეღვაწე თანამედროვეობას.

შ. აფხაიძის ლექსების პირველი წიგნი 1941 წელს გამოქვეყნდა. პოეტი განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდა დიდი სამამულო ომის წლებში. მან სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა იარაღასხმული პოეტური სიტყვა და თავისი მწერლური თუ პრაქტიკული საქმიანობით ჯარსკაციერთი ემსახურა ჩვენი ხალხის გამარჯვებას. ამ მრისხანე დღეების ქუხილის ხმა ისმის პოეტის ლექსების მეორე კრებულში, რომელიც 1945 წელს გამოვიდა. შემდეგ ჩვენმა მკითხველმა გულთბილად მიიღო მისი „ლექსები" (1949 წ.), „ერთტომეული" (1954 წ.), „გაზაფხულის მელოდიები" (1957 წ.), „გაზაფხულის განთიადები" (1963 წ.), „გაზაფხულის ნიაღვრები" (1964 წ.), „მცხეთის ლაჟვარდები" (1967 წ.), ამ წიგნებში მართლაც ძალუმად ისმის სუნთქვა ჩვენი მამლის, ჩვენი სიცოცხლის დაუბერებელი გაზაფხულისა. ხანდაზმული პოეტი საოცრად გრძნობდა გაზაფხულისა და სიკაბუკის სიმშვენიერეს. ახალგაზრდულად ყიოდრდა მისი სიტყვა.

„განა ვერ ვხედავ—გაზაფხულია,
ვარ სამოთხეში...
მზე არ ზმორდება,
დამყვება გვერდით,
და მომავალი, როგორც ყვავილი,
მიეპრავს ხელში", —

შთაგონებით ამბობდა პოეტი.

შალვა აფხაიძე თავის ლექსებში მთელი გულით უმღერდა ჩვენს გმირულ თანამედროვეობას, საბჭოთა ქვეყანას, შრომელიერ ხალხს და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, როგორც მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე უანგაროდ ემსახურებოდა თავის ხალხს, სიკეთისა და ბედნიერების დაცვიდერებას.

ფართო იყო შალვა აფხაიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი. სხვადასხვა დროს მსახურობდა გაზეთ „მუშაში", გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაში", იყო განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ხელოვნების მთავარი კომიტეტის მდივანი, საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარედაქტიარო კომიტეტის თავმჯდომარე, რუსთაველის სახელობის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების გამგე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ლიტერატურული განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი. უკანასკნელ წლებში იგი საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად მუშაობდა.

შალვა აფხაიძე წლების მანძილზე არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, მწერალთა კავშირის მთავრმნელთა სექციის თავმჯდომარედ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად.

შ. აფხაიძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თავისი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე. მან თეატრალურ საკითხებზე მრავალი წერილი და რეცენზია გამოაქვეყნა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. საქმის ცოდნითა და სიყვარულით არის დაწერილი ცალკე წიგნებად გამოცემული მისი მონოგრაფიები შალვა დადიანზე, ვერიკო ანჯაფარიძეზე, აკაკი ხორავაზე.

პოეტი ნაყოფიერად მუშაობდა ლიტერატურული კრიტიკის დარგშიც. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი და მონოგრაფია, რომლებიც წლების მანძილზე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. ცალკე წიგნებად გამოვიდა მისი „კრიტიკული წერილები" (1959 წ.), „გრიგოლ აბაშიძე" (1958 წ.)

შ. აფხაიძემ ბევრი შესანიშნავი თარგმნილთაც გაამდიდრა ჩვენი მშობლიური ლიტერატურა. ქართველი მკითხველი მისი თარგმანებით გაეცნო დ. ფურმანოვის „ჩაპაევს", მაქსიმ გორკის „დედას" და სხვა მოთხრობებს. მანვე თარგმნა მოძმე ხალხთა პოეტების მრავალი ლექსი.

ჩვენი სამშობლოს ხალხთა ბევრ ენაზე თარგმნილია შ. აფხაიძის ლექსები. 1960 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა მისი რჩეული ლექსების წიგნი.

ღირსეულად დაფასდა პოეტის ღვაწლი — შალვა აფხაიძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

საოცარი გულის სითბო ჰქონდა ამ უსმაურო და თავმდაბალ, მუდამ ღიმილმოუშორებელ და ფიქრში წასულ ადამიანს. ის თანაბარი ძალით განიცდიდა ჩვენი ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სიხარულსაც და ტკივილსაც, ერთნაირად ახარებდა თავისი თანამოაზეთა თუ ახალგაზრდის წარმატება. კომუნისტი მწერალი შ. აფხაიძე ჩვენი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ხშირად ხედავდა მკითხველს, თავისი გამოსვლებით პრობაგანდას უწევდა ქართულ მხატვრულ სიტყვას.

შეანიშნავი ადამიანისა და მოქალაქის, მწერლისა და უანგარო საზოგადო მოღვაწის შალვა აფხაიძის ნათელ ხსოვნას მარად შეინახავს მადლიერი მშობლიური ხალხი, ქართული მწერლობის დიდი ოჯახი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,
საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა.

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘᲡᲔᲑᲘ

დილა რეიდზე... ზღვა მდორედ ფშვინავს, ტალღები ნება-ნება ეხეთქებიან ნაპირს, წყალზე მძიმედ მიცურავს ნისლი და სადღაც ჰორიზონტთან დგანან ღამენათევი გემები, ჯერ კიდევ ციმციმებენ მათი სასიგნალო ნათურები... კიდევ ცოტაც და თითქოს უფრო ძალუმად ახმაურდება ზღვა, ახმაურდებიან გემები... დილა ზღვაზე — ეს განწყობილება გამოხატა ჩვენმა ბათუმელმა ფოტოკორესპონდენტმა ს. ანჯელომ, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ. თან შეგახსენებთ — სანაპიროს ეს ლამაზი კუთხე ზედ ბათუმის მისასვლელთანაა, თბილისი-ბათუმის გზატკეცილზე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ...

ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ორი მატჩით ამოიწურა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. როგორც ვიუწყებოდით, ამ გუნდების პირველ მატჩში წარმატება არმიელ კალათბურთელებს ხვდათ 65:63, 21 თებერვალს კი კაუნასელებმა რევანში აიღეს 68:64.

დაიწყო მეორე წრე. რიგაში ვეფ-მა მეორე გამარჯვება მოიპოვა თანამემამულეებთან — არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელებთან შეხვედრაში 68:61. კიევის არმიის სასპორტო კლუბისა და ბაქოს „ბურევესტნიკის" მატჩი დამთავრდა პირველის გამარჯვებით 91:71.

ᲛᲐᲢᲩᲘ 3 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ოლიმპიადის დედაქალაქში — მეხიკოში ჩავიდა. აქ წვრთნასთან ერთად ჩვენი ფეხბურთელები მოაწყობენ საერთაშორისო მატჩებს როგორც საკლუბო გუნდებთან, ისე მექსიკის ნაკრებთან.

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **მ. იკუშინმა** ჟურნალისტებს განუცხადა: საბჭოთა ნაკრებში ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად ცოტა როლია ახალგაზრდობა. ეს ძირითადად ის ფეხბურთელებია, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ოლიმპიურ ტურნირში.

პირველი მატჩი სსრ კავშირის ნაკრებს ექნება 3 მარტს „აცტეკასის" სტადიონზე მექსიკის ნაკრებთან.

„ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" — ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ორი ნახევარფინალური მატჩი გამართა კაუნასის „ჟალგირისის" ხელბურთელ ქალთა კოლექტივმა ევროპის ჩემპიონთა თასზე პოლონეთის „კრაკოვიასთან" და ორივე მოიგო ანგარიშით 17:9 და 17:8. „ჟალგირისი" ფინალში გავიდა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘ

მოსკოვის დახურულ კორტებზე რამდენიმე დღეა გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

ვაჟთა ერთეულების ასპარეზობაში **კაკულამ** დაამარცხა **ვოლკოვი** 7:5, 9:7, **მეტრეველმა** — **ბეუტლი** (საფრანგეთი) 6:4, 6:8, 6:3.

ქალთა შორის ნახევარფინალში საბჭოთა ჩოგბურთელებიდან გავიდნენ **დმიტრიევა, ბაქშეევა** და **მოროზოვა.**

ᲠᲒᲝᲚᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲨᲖᲔ

სალავათში შედგა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობის ორი ეტაპი მოტორბოლში ყინულზე. მსოფლიოს ჩემპიონი **ბ. სამოროდოვი** პირველი დღის ასპარეზობაში მხოლოდ მეხუთე იყო, მაგრამ მეორე დღეს ხუთიდან ხუთიანი გარბენი მოიგო და 15 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია წინა დღის ასპარეზობაში გამარჯვებულმა **გ. კადიროვმა,** რომელმაც 14 ქულა შეაგროვა. კარგად გამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა მოტორბოლები **ვ. ციბროვი** და **ი. დუდორინი,** რომლებსაც შესაბამისად 13-12 ქულა აქვთ.

ჩემპიონობის საკითხი გადაწყდება მომდევნო ორ ეტაპში, რომელიც უფაში შედგება.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

ᲒᲘᲠᲩᲐ-ს ფეხბურთელთა გუნდი ბულგარეთს ეწვია და ქალაქ გობროვში გამართა საერთაშორისო მატჩი ადგილობრივ საკლუბო გუნდთან. წარმატება მასპინძლებს ხვდათ 1:0.

ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგისა" და საფრანგეთის „ოლიმპიკის" ფეხბურთელთა საკლუბო გუნდების პირველი მეოთხედფინალური მატჩი თასის მფლობელთა თასზე. გამარჯვა „ჰამბურგმა" 2:0. ეს გუნდები მეორე მეოთხედფინალურ მატჩში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. მოსკოვის „ბურევესტნიკი" დამარცხდა ტურინის „იუვენტუსთან" შეხვედრაში 0:4.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲧᲐᲘᲛᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 თებერვალი. ლოს-ანეელესში სამი გროსმაისტერის მატჩ-ტურნირში 44-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა **რეშევსკისა** და **გორტის** მესამე ტურში გადადებული პარტია. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე **შტეინრეშევსკის** მეორე პარტია.

მეტოქეებს მერვე პრეტენდენტის გამოსავლინებლად ოთხჯერ მოუწევთ ერთმანეთთან შეხვედრა.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

◆ **ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲒᲛᲐ** ჩემპიონებმა — სსრ კავშირის ჰოკეისტებმა პარიზში გამართეს საერთაშორისო მატჩი საფრანგეთის გუნდთან. მასპინძელთა თხოვნით საფრანგეთის გუნდი გაძლიერებული იყო რამდენიმე საბჭოთა ჰოკეისტით. შეხვედრა დამთავრდა ოლიმპიური ჩემპიონის გამარჯვებით 7:1.

◆ **ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ** საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ ადგილობრივი „ბურევესტნიკისა" და სოფიის „სლავიის" ფრენბურთელ ქალთა გუნდებს. წარმატება ლენინგრადელებს ხვდათ 3:0.

◆ **ᲙᲘᲔᲕᲨᲘ** გამართულ შეიარაღებულ ძალთა შეჯანგისტებს ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲑᲝᲚᲝᲒᲕᲐᲜᲝᲕᲘ** (ჭეშმარიტი წონა). მან აწია 171,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ᲛᲫᲚᲝᲛᲡᲐᲜᲗᲐ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ სპორტის სასახლეში დამთავრდა მძლეოსანთა ზამთრის ასპარეზობა, რომელიც ევროპის მესამე ტურნირის წინ, ძალთა შემოწმებას წარმოადგენდა. 800 მეტრზე რბენაში ქალთაგვის წარმატება ხვდა **ა. ზიმინას,** რომელმაც დისტანცია გაირბინა 2 წუთსა და 7,8 წამში და გაუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი. ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში სამმა სპორტსმენმა აჩვენა შედეგი 4 მეტრი და 80 სანტიმეტრი. მათ შორის გამარჯვებულად ცნეს სვერდლოვსკელი **ი. ხანაფინი.** სიგრძეზე ხტომაში ეიაფთათვის ყველას აჯობა კიეველმა **ლ. ბარკოვსკიმ** — 7 მეტრი და 81 სანტიმეტრი, ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში — **ა. პუშკარიოვამ** — 1 მეტრი და 73 სანტიმეტრი.

ᲞᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **გ. გ. ორჯონიკიძე** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 3-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ 1966 ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა მე-18 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1966 წლის 15 თებერვალს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ოცდაერთიანი თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100043	1—50	40	135312	29*)	1000	168623	1—50	40
100400	31*)	500	135436	11*)	500	169667	1—50	40
100442	26*)	500	135724	40*)	1000	170026	18*)	1000
100446	1—50	40	136008	15*)	500	170489	04*)	500
102597	20*)	500	137112	46*)	500	170595	02*)	500
102984	20*)	500	137376	20*)	500	170821	31*)	500
103697	49*)	1000	138450	16*)	2500	170989	31*)	500
103889	28*)	500	138592	47*)	500	171584	07*)	500
103919	36*)	500	139028	22*)	500	171815	40*)	500
104795	36*)	500	139057	19*)	500	171817	27*)	500
106108	16*)	500	139105	06*)	500	172696	14*)	500
106472	1—50	100	140042	1—50	40	172793	05*)	500
106480	22*)	500	140306	29*)	1000	174091	45*)	500
106773	1—50	100	141499	13*)	500	175864	1—50	40
107201	1—50	100	141661	33*)	500	176356	37*)	500
107847	08*)	500	143744	24*)	500	177014	25*)	500
108365	1—50	40	143827	07*)	500	177054	48*)	500
108603	36*)	500	144199	25*)	500	177841	22*)	500
109415	46*)	500	144270	49*)	500	178536	23*)	500
109730	1—50	100	144645	27*)	500	179298	02*)	2500
110432	05*)	500	145041	24*)	500	179311	41*)	500
111268	30*)	5000	145765	1—50	40	179729	29*)	1000
113054	15*)	2500	146416	49*)	1000	181083	24*)	500
113215	11*)	500	147241	30*)	500	182045	1—50	40
113284	1—50	40	148599	1—50	40	182161	03*)	500
113589	1—50	40	148765	1—50	100	183283	10*)	500
114404	06*)	500	148817	50*)	500	183514	17*)	500
115103	50*)	1000	149119	1—50	100	184020	01*)	1000
115211	1—50	40	149600	1—50	40	184050	30*)	500
115272	04*)	500	150182	39*)	500	184109	12*)	1000
115963	42*)	1000	150220	20*)	2500	184559	1—50	100
116323	17*)	500	150287	15*)	500	184954	25*)	500
116732	1—50	40	150343	1—50	100	185030	1—50	100
117951	04*)	500	150644	03*)	500	185174	26*)	500
118112	1—50	40	151022	44*)	500	185523	11*)	500
118967	1—50	40	152102	1—50	40	185654	1—50	40
119115	1—50	40	152305	32*)	500	185872	1—50	40
119220	41*)	500	153579	1—50	40	187003	1—50	100
119503	33*)	500	153699	1—50	40	187102	10*)	500
119598	07*)	1000	153772	1—50	40	187416	15*)	500
119983	42*)	500	154795	50*)	500	187979	08*)	500
120378	05*)	1000	154994	29*)	500	188057	1—50	40
120866	22*)	1000	155265	50*)	500	188654	10*)	500
121043	32*)	500	156109	47*)	1000	189315	29*)	500
123829	15*)	500	156784	09*)	500	190531	1—50	40
124696	1—50	40	157536	1—50	100	191122	28*)	500
124785	16*)	1000	157688	23*)	500	191534	15*)	2500
126546	27*)	500	158793	1—50	40	192435	29*)	500
126649	1—50	40	159529	1—50	40	192653	1—50	40
126798	1—50	100	160183	20*)	500	192908	26*)	1000
127789	26*)	500	160885	09*)	500	193907	26*)	500
128137	1—50	100	161804	1—50	40	194859	1—50	40
129631	44*)	500	162026	1—50	40	195137	28*)	500
129789	49*)	500	162280	1—50	40	195542	40*)	500
129960	1—50	40	163012	34*)	1000	195681	41*)	500
129977	26*)	1000	163290	23*)	5000	198607	1—50	40
130075	08*)	500	165318	37*)	500	198613	27*)	500
130321	24*)	500	165397	35*)	500	198682	45*)	500
131374	34*)	500	166110	25*)	500	198753	06*)	500
132357	09*)	500	166270	47*)	1000	199044	27*)	500
132408	1—50	100	166555	42*)	500	199380	39*)	500
132491	07*)	500	166989	47*)	500	199960	1—50	100
133378	30*)	500	167378	32*)	500			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მოღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების მოსკოვრეკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ს. სმაბინი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვ. კუზნეცოვა.

ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲘᲙᲕᲓᲘ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲕᲘᲡᲐᲪ თავის სიცოცხლეში ერთი ხე დაურგავს — სიკეთე დაუთესია, ვისაც ბაღი გაუშენებია — ფასდაუდებელი და საშვილიშვილო, დიდი საქმე გაუკეთებია.

მეთოდე პავლეს-ძე იაროსლავსკიმაც გააშენა ბაღი გლაზოკაში. ეს სოფელი ქერჩიდან ათოოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ცხოვრობს ბერიკაცი მარტო, გზისპირას უდგას თეთრად შეფეთქილი ოროთახიანი პატარა სახლი, გზის გადასწვრივ კი საკოლმეურნეო მინდვრებია.

ბერიკაცს სოფელში ქალიშვილი ჰყავს გათხოვილი და მის მუუდროებას დროდადრო შვილიშვილების ჟრიამული თუ არღვევს. ოთხმოცდაშვიდი წლისაა, მაღალი, თეთრწვერა. თბილი, მოალერსე თვალები აქვს, სიტყვა-პასუხი დინჯი და ხატოვანი. როცა მას ვუყურებდი, უნებლიეთ ჩემი ტკბილი პაპა მაგონდებოდა, მასთან მისვლა ყოველთვის რომ მიმიხაროდა.

და ასევე მიხაროდა ამ კაცთან შეხვედრა, როცა თბილისიდან შორეული ქერჩისკენ მივემგზავრებოდი. არ მენახა იგი, მაგრამ ვიცნობდი სხვათა გადმოცემით. მივდიოდი ისე, როგორც სასურველ ახლობელ კაცთან, საკუთარ პაპასთან. მივდიოდი და ბევრი რამ მაღელვებდა. მართლაც-და, როგორ შეიძლება აუღელვებლად შეხვედე ამ კაცის კარ-მიდამოში!

ქერჩის თავზე ომის დღეებში ორჯერ გადაიარა შრისხანე ბრძოლების გრიგალმა.

პირველად — გერმანელებმა გვძლიეს. მხეცებივით შეცვივდნენ ისინი გლაზოკაშიც (მაშინ ბაქსი ერქვა), დაერივნენ შინდარჩენილ დავრდომილებს, მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს. ბერიკაცი მეთოდე იაროსლავსკი შინიდან გაადგეს და საქონლის ბაგაში ცხოვრების ნება დართეს.

ჩამობნელდა ყირიმის მიწაზე. მწუხარებისა და ვაების სუდარა ეფინა ცოტა ხნის წინათ აყვავებულ კარ-მიდამოებს. მეთოდეს თვალწინ ულმობლად კაფავდნენ ფაშისტები მის მიერ ნახარებ ხეებს, უნადგურებდნენ საშვილიშვილო საუნჯეს.

გულდამწვარი კაცი, რომელსაც სამი ვაჟიშვილი სხვადასხვა ფრონტზე დაეღუპა, ყოველ ჩვენს მებრძოლში თავის შვილს ხედავდა და სწორედ ამიტომ იყო მიტლერელთა ტყვეობიდან გამოქცეული, გზაგანეულებსა და დატანჯულებს გზას რომ უჩვენებდა, უკუნეთ სიბნელეში ზღვისაკენ, ჩამქრალი შუქურასაკენ მიჰყავდა და ნავით სამშვიდობოს აცილებდა. ყოველ წუთს დაღუპვა ელოდა, მაგრამ თავს არ ზოგავდა.

ეჰვის თვალით უყურებდა მეთოდეს სოფლის მაშინდელი თავკაცი, და აკი გერმანელებთანაც დაასმინა. ბერიკაცი დაიჭირეს. მოხუცმა დაკითხვისას არ დაფიცა, რასაც იგი გულით და მონდომებით აკეთებდა. თარჯიმანი გაოცებული უყურებდა მის სიცოცხლით სავსე თვალებს და გრძნობდა, რომ ამ კაცს ტყვია ვერ მოკლავდა.

...თარჯიმანი სულ სხვას გადასცემდა გერმანელებს. ბოლოს მოხუცს კარზე მიუთითა და ვითომ ზიზღით უთხრა: „წადი, შენ საჭირო ხარ ამ ქვეყანაზე!".

მეთოდე ცოტა არ იყოს გაოცებული დაბრუნდა თავის ფიცრულში. „შენ საჭირო ხარ ამ ქვეყანაზე!" ნიადგ ჩაესმოდა და ეს ხმა არ ასვენებდა. ეს სიტყვა მიდიოდა. ისმოდა ქვემეხების გრიალი. მიწა ზანზარებდა.

მოხუცი იდგა. მოშიშვლებული გოროკის კორტოხზე და შორს, სრუტესთან ატეხილ ბათქაბუთქს ისე გაყურებდა, თითქოს იქითა მხრიდან მომავალ თავის შვილებს ელოდეთო.

მის სახლში ბარგი-ბარხანას უკვე კრავდნენ გერმანელები, გასაქცევად ემზადებოდნენ. მოვდნენ მშველელნი, ქვეყნის მსხნელნი.

როცა გარემო მიწყნარდა, მეთოდემ სიხხლით მორწყული და დაცემული ვაჟკაცებით მოფენილ ველს გახედა და მაშინ, ალბათ, თავის სიცოცხლეში პირველად, ერთად გამოიტირა შვილებიცა და ეს ვაჟკაცებიც.

იმ დღეს მოსკოვი სალუტს აძლევდა ქერჩის მჩხნელებს. მეომრები თავიანთ მეგობრებს მარხავდნენ მინდორში. მარხავდნენ ერთად, მარხავდნენ ცალ-ცალკე, და ოდესღაც ხანაგ-სათეს მიწაზე რამდენიმე ათეული სასაფლაო გაჩნდა.

სამარა დიხო დიდება ემირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში! მათი დავიწყება არ შეიძლება, მათი სახელები არ წაიშლება ჩვენი სახელოვანი არმიის მატიანეში... მაგრამ წვიმა და ქარი, დრო-ჟამი შლიდა სახელებს ხახელდახელოდ აგებულ ძეგლებზე.

ძნელია იმისი წარმოდგენა, რაც მეთოდე იაროსლავსკომ გააკეთა. მინდორში გაფანტულად დასაფლავებული გმირები თავის ხელის ბაღში გადმოასვენებინა. ასზე მეტი საფლავი გაიჭრა, ასზე მეტი თეთრი ქვის სვეტი დაიდგა, ასზე მეტი გვარ-სახელი ამოიკვეთა. ახლა ბაღში ერთი გოჯი თავისუფალი ადგილი არ არის. ეს არის გმირთა მარადიული სავანე, სადაც რუს და სომეხ ძმებთან ერთად განისვენებენ ქართველი ვაჟკაცებიც. აი ისინი: ლეიტენანტი ბ. ნ. მამლაშვილი, რიგითი ა. ი. კუტიბაშვილი, სერჟანტი ქვრივიშვილი, რიგითები გ. პ. გობერიძე, ბ. ი. დიცინაშვილი, დ. მ. გრძელიშვილი, ბ. ი. ჩეჩელაშვილი, სერჟანტი ტ. ი. მრეველიშვილი, სერჟანტი ა. თ. ანფულაძე, ზემდეგები ვ. გ. ცხადაძე, ნ. ს. ბოგოიანშვილი.

ხეებს მაღლა აუყრია ტოტები. სავანეში დგას შურისგების ცეცხლით ანთებული მეომრის ქანდაკება. იგი ისე დაჰყურებ